

# ნაწილი I. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

## თემატური ბლოკი 1: საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები

### საკითხები:

- რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა;
- ფეოდალიზმი, ქალაქები შუა საუკუნეებში;
- წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები;
- საქართველოს ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება;
- საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად;
- აშშ-ის ჩამოყალიბება;
- საფრანგეთში რესპუბლიკისა და ბონაპარტეს იმპერიის დამყარება;
- ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში;
- საქართველოს ეროვნული საბჭო და დამფუძნებელი კრება;
- საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი საშინაო პოლიტიკა;
- პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე;

### თემა 1.1. საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია

დრო: 25 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები   | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები   | შეფასების კრიტერიუმები:   |
|---|---|---|---|
| <p><b>დრო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;</li> <li>• ცვალებადობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის</li> </ul> | <p><b>საკითხები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რომაული საზოგადოება;</li> <li>• ფეოდალიზმი,</li> </ul> | <p>როგორი იყო სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები და ურთიერთ-</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებული საზოგადოებრივი</li> </ul> |

|  |   |   |  |
|--|---|---|--|
| <p>ორგანულ კავშირს გულისხმობს, იმ პირობით რომ არაფერია უცვლელი და დროში გაყინული;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;</li> <li>• ისტორიის პერიოდიზაციის პირობითი ხასიათი აქვს;</li> </ul> <p><b>საზოგადოება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ ყოველ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ იდენტობა, ინტერესი და საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე.</li> <li>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილი არიან;</li> <li>• საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ;</li> </ul> | <p>ქალაქები შუა საუკუნეებში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში;</li> <li>• პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე.</li> </ul> | <p>მიმართება?</p> <p>როგორი იყო სხვადასხვა ეპოქის სოციალური ფენების ყოფა?</p> <p>რატომ და როგორ იცვლებოდა ისტორიული ეპოქებისთვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურები?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით სხვადასხვა ეპოქის და საზოგადოების სოციალური სტრუქტურების შესახებ?</p> <p>რით ჰგავს და რით განსხვავდება სხვადასხვა ეპოქის სოციალური სტრუქტურები ერთმანეთისგან და თანამედროვე საზოგადოებისგან?</p> | <p>ფენების (ვაჭრები, ხელოსნები, მონათმფლობელები, მონები, ფეოდალები, გლეხები, სასულიერო ფენა, მუშები, ბურჟუაზია და ა. შ.) ძირითადი მახასიათებლების გამოყოფა, მათი წარმომადგენლების უფლება-მოვალეობების ერთმანეთთან შედარება;</p> <p>- საისტორიო წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქების სოციალური სტრუქტურების ერთმანეთთან შედარება (მსგავსება-განსხვავებების დადგენა).</p> |
|--|---|---|--|

| აქტივობები  | რესურსები  | კომპლექსური დავალების ნიმუში: |
|---|--|-------------------------------|
| <p><b>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</b></p> <p><b>ეტაპი 1.</b> როგორი იყო სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები და ურთიერთ-მიმართება? როგორი იყო სხვადასხვა ეპოქის სოციალური ფენების ყოფა?</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქტივობა 1.</b> სტუდენტები პირველ ეტაპზე შეისწავლიან საქართველოსა და მსოფლიოში ანტიკურ პერიოდში, შუა საუკუნეებსა და ახალ დროში არსებულ სოციალურ ფენებს, მათ უფლება-მოვალეობებსა და ურთიერთმიმართებას. მნიშვნელოვანია, რომ მასალის დამუშავების დროს სტუდენტებს ვასწავლოთ <b>გრაფიკული მორგანიზებლების</b> (ცხრილი, სქემა, დიაგრამა და სხვ.) გამოყენება. მაგალითად, ანტიკური</li> </ul> | <p>პედაგოგი სტუდენტებს თემის „საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია“ წარდგენისთანავე უხსნის, რომ მისი შეჯამების მიზნით უნდა მოამზადონ კომპლექსური დავალება (ბლოგი, PowerPoint პრეზენტაცია ან ესე), რომელშიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე ორი ეპოქის საზოგადოებრივი წყობილების შედარებითი ანალიზი. ეს შეიძლება იყოს როგორც ისტორიულ ეპოქებში</p> |                               |

პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ფენებისთვის ასეთი სქემა შეიძლება გამოვიყენოთ:

**სამეფო გვარი** - მეფის ოჯახი, სეფეწულები, სამეფო კარის წევრები, მოსამართლეები, სარდლები, სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები. **უფლება-მოვალეობები**: სამეფოს მართვა, ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტა, გადასახადების აკრეფა, დამნაშავეთა გასამართლება და სხვ.

**ქურუმები** - წარმართი კულტმსახურები. **უფლება-მოვალეობები**: რელიგიური ცერემონიების წარმართვა, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მეზობელ ქვეყნებთან.

**ერი (მეთემეები)** - მოსახლეობის უდიდესი, თავისუფალი ნაწილი. **უფლება-მოვალეობები**: სოფლის მეურნეობის გაძლიერება, გადასახადების გადახდა, სამხედრო მოვალეობების მოხდა.

**სამეფო მონები** - პირველი ფენის (სამეფო გვარის) მომსახურე ფენა. **უფლება-მოვალეობები**: ზედა ფენის მატერიალური უზრუნველყოფა.

მსგავსი სქემების შექმნა დავავალოთ სხვა ეპოქების სოციალური სტრუქტურების (მაგალითად, ფეოდალური ხანის სამწევროვანი საზოგადოების) შესწავლის დროსაც.

- **აქტივობა 2.** სტუდენტებისთვის საინტერესო და სახალისო შეიძლება გამოდგეს **როლური თამაში**, რომლის დროსაც ისინი მოირგებენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლის როლს (მათი უფლება-მოვალეობებისა და ფუნქციების გათვალისწინებით) და გაითამაშებენ ორ სიტუაციას: 1. სამეფოს გადახდა ომი, რომელშიც გაიმარჯვა; 2. სამეფოს გადახდა ომი, რომელშიც დამარცხდა.

**ეტაპი 2.** რატომ და როგორ იცვლებოდა ისტორიული ეპოქებისთვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურები?

არსებული საზოგადოებების (მაგ., რომაულის და ფეოდალურის, ფეოდალურის და ინდუსტრიულის) ერთმანეთთან შედარება (ანუ მსგავსებებისა და განსხვავებების ჩვენება), ისე რომელიმე მათგანის თანამედროვე საზოგადოებასთან შედარება.

კომპლექსური დავალების წარმატებით შესასრულებლად სტუდენტებმა თემის შესწავლის დროს ყურადღება უნდა მიაქციონ და ჩაინიშნონ ის მახასიათებლები, რაც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სოციალურ ფენას ჰქონდა. ყურადღება უნდა გაამახვილონ ამ ფენების წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობებზე. ჩაინიშნული ინფორმაცია და გამოყოფილი მახასიათებლები სტუდენტებს გაუადვილებს სხვადასხვა ეპოქების სოციალური სტრუქტურების ერთმანეთთან ან თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებასთან შედარებას.

- **აქტივობა 1.** დებატების მოწყობა, რომელზეც მოდებატეები არგუმენტებით იმსჯელებენ იმის შესახებ, როგორ უნდა მომხდარიყო ბატონყმობის გაუქმება საქართველოში;
- **აქტივობა 2.** როლური თამაშით საფრანგეთის დამფუძნებელი კრების ინსცენირება, სადაც განიხილება წოდებრიობის გაუქმების საკითხი;
- **აქტივობა 3.** 1864 წელს მცხოვრები ქართველი გლეხის/თავადის დღიურის დაწერა პირველ პირში, რომელშიც სტუდენტი გადმოსცემს თავისი „პერსონაჟის“ შთაბეჭდილებებს ბატონყმობის გაუქმების ფაქტთან დაკავშირებით.

**ეტაპი 3.** რაც ვიცით, საიდან ვიცით სხვადასხვა ეპოქის და საზოგადოების სოციალური სტრუქტურების შესახებ?

- **აქტივობა 1.** ამ ეტაპზე სტუდენტებს ყურადღება უნდა მივაქცევინოთ იმ წყაროებზე, რომელიც ამ თემის შესწავლი დროს დაამუშავეს. სასურველია, მოვახდენინოთ ისტორიული წყაროების კლასიფიკაცია (პირველადი და მეორადი წყაროები, ნარატიული, ეპიგრაფიკული თუ ტიპის ტექსტები);
- **აქტივობა 2.** დისკუსიის მოწყობა შესწავლილი საისტორიო წყაროების საიმედოობის საკითხზე.

**ეტაპი 4.** რით ჰგავს და რით განსხვავდება სხვადასხვა ეპოქის სოციალური სტრუქტურები ერთმანეთისგან და თანამედროვე საზოგადოებისგან?

ამ ეტაპზე სტუდენტები წარმოადგენენ შესრულებულ კომპლექსურ დავალებას. ხდება მათი განხილვა და შეფასება.

ამ თავისთვის საჭირო მასალა შეგიძლიათ იხილოთ:

- ისტორიის როგორც მე-11 კლასის სახელმძღვანელოებში (ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში, ძველი რომი, ევროპული ფეოდალიზმი და შუა საუკუნეების ქალაქები, საფრანგეთის დიდი რევოლუცია);
- ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელოებში (ალექსანდრე II-ის რეფორმები რუსეთის იმპერიაში, ინდუსტრიული რევოლუცია, თანამედროვე საზოგადოება და კულტურა);
- დანართში (გვიანფეოდალური ხანის ქართველი გლეხი).

### გვიანფეოდალური ხანის ქართველი გლეხი

ფეოდალურ ეპოქაში საქართველოს ეკონომიკის ძირითადი საფუძველი გლეხური მეურნეობა იყო. გლეხები ამუშავებდნენ მიწას, მოჰყავდათ მოსავალი, უვლიდნენ შინაურ პირუტყვს და ასრულებდნენ კიდევ მრავალგვარ სამუშაოს. ამასთანავე, მიწა, რომელსაც ის ამუშავებდა, ეკუთვნოდა გლეხის ბატონს – ფეოდალს. გლეხი ამ მიწის მხოლოდ მემკვიდრეობითი მოსარგებლე იყო. თავად გლეხიც პირადად არ იყო თავისუფალი და ფეოდალს (თავადს, აზნაურს, ეპისკოპოსს ან მეფეს) ეკუთვნოდა. ბატონს შეეძლო გლეხის გაყიდვა ან გაჩუქება. მართალია კანონი გლეხი უმიწოდ გასხვისებას კრძალავდა, მაგრამ ფეოდალები ზოგჯერ გლეხს უმიწოდაც ყიდიდნენ. ხანდახან ბატონი გლეხის ოჯახის წევრებს ცალ-ცალკეც ყიდიდა.

გლეხს მრავალი მოვალეობა ეკისრებოდა. იგი გადასახადებს უხდიდა თავის ბატონს, სახელმწიფოს, მის მოხელეებსა და ეკლესიას. მას უნდა გადაეხადა მარცვლეულის მოსავლის 25-30 %, ღვინის 15-30%, შინაური პირუტყვის ნამატის გარკვეული ნაწილი. იგი ვალდებული იყო დღესასწაულებზე (საშობაოდ, სააღდგომოდ, საახალწლოდ და ა.შ.) ბატონისათვის მიერთმია ძღვენი – ძროხა, ცხვარი, ქათამი, კვერცხი, ერბო, ყველი და სხვ. გარდა ამისა, ყმა-გლეხი ვალდებული იყო ბატონის მეურნეობაშიც ემუშავა (მოეხნა, დაეთესა, მოსავალი აეღო და საერთოდ ყველა სახის სამუშაო შეესრულებინა). გლეხი იხდიდა ფულად გადასახადებსაც, რის გამოც მოსავლის ან ნამატის ნაწილის გაყიდვა უხდებოდა. დამპყრობლებისათვის გადასახდელი ხარკიც გლეხების ხარჯზე გროვდებოდა. გარდა ამისა, გლეხი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ნადირობაში და ლაშქარშიც მოეხადა სამხედრო ვალი. ამდენი გადასახდის გასტუმრების შემდეგ გლეხის ოჯახს

შემოსავლის მცირე ნაწილიდა რჩებოდა, რის გამოც ხშირად შიმშილობდა.

მეზატონეები ზოგჯერ გლეხს იმაზე მეტ გადასახადს ართმევდნენ, ვიდრე დაწესებული იყო. მეფეები ცდილობდნენ, რომ გლეხები უსამართლოდ დაჩაგვრისაგან დაეცვათ, მაგრამ მათ მიერ გამოცემული კანონები ფეოდალსა და გლეხს უთანასწორო პირობებში აყენებდა. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის სამართალში აღნიშნულია, რომ „ბატონს ყმის სულის გარდა ხელი ყველაფერზე მიუწვდება“. გლეხები ცდილობდნენ თავისი ისედაც მცირე უფლებების დაცვას. ზოგი გარბოდა თავისი ბატონისაგან და თავს სხვასთან აფარებდა (ასეთ გლეხებს ხიზნებს ეძახდნენ), ზოგიც მეფესთან ან სასამართლოში ცდილობდა სამართლის პოვნას. ჩვენამდე მოღწეულია XVIII საუკუნის დოკუმენტი, რომელიც გადმოგვცემს ერთი გლეხის – თამაზ ქურციძის სათხოვარს ერეკლე II-სადმი და მეფის პასუხს ამ საჩივარზე:

*„ღმერთმა ბედნიერი ხელმწიფის ჭირი მისცეს ფრცველს დავითის შვილს, ზაალის ყმას – ქურციძე თამაზას. შინდისმს თავყელიშვილთან ხიზნად გახლავარ. რაც შეძლება მაქვს ბატონს ჩემსაც ვემსახურები და თავყელიშვილსაცა. ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია, გამლახა, ერთი ხარი და ერთი ხბოიანი ფური წამართო. არ ვიცი რა დანაშაული მაქვს. ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალავას ფრცას წავაო და მე აღარას მემსახურებაო და იმისთვის ამიკლო. სხვა დანაშაული არ გამაჩნია რა. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. 12 იანვარი, 1779 წელი“.*

ერეკლე მეფეს თავისი ბრძანება ამავე წერილის არშიაზე დაუწერია:

„ჩვენი ბრძანება არის, იასაულო ხერხეულიძე ავთანდილ,  
რაც თავყელიშვილს ამ კაცისათვის წაურთმევია, ახლავე  
გამოურთვი, მოეც. თუ სიტყვა აქვს რაზე, სამართალში აღაპარაკე.  
15 იანვარი, 1779 წელი“.

თემა 1.2. მმართველობის სისტემები

დრო: 25 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები   | შეფასების კრიტერიუმები:  |
|---|--|---|--|
| <p><b>დრო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;</li> <li>• ცვალებადობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ორგანულ კავშირს გულისხმობს, იმ პირობით რომ არაფერია უცვლელი და დროში გაყინული;</li> <li>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;</li> <li>• ისტორიის პერიოდიზაციის პირობითი ხასიათი აქვს;</li> </ul> <p><b>დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში;</li> <li>• დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;</li> <li>• დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა,</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო;</li> <li>• რომაული სახელმწიფო წყობა;</li> <li>• წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები;</li> <li>• საქართველოს ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება;</li> <li>• საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად;</li> <li>• აშშ-ის ჩამოყალიბება;</li> <li>• საფრანგეთში რესპუბლიკისა და ბონაპარტეს იმპერიის დამყარება;</li> <li>• საქართველოს ეროვნული საბჭო და</li> </ul> | <p>რა მსგავსება-განსხვავებებია მმართველობის სხვადასხვა სისტემას შორის?</p> <p>რატომ ითვლება დემოკრატია მმართველობის საუკეთესო სისტემად?</p> <p>რატომ და როგორ იცვლებოდა საქართველოში და მსოფლიოში მმართველობის სისტემები?</p> <p>როგორ მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენები მმართველობაში?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით მმართველობის სხვადასხვა სისტემის შესახებ?</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მმართველობის სისტემების არსებითი მახასიათებლების გამოყოფა;</li> <li>- საისტორიო წყაროების გამოყენებით მმართველობის სხვადასხვა სისტემების ერთმანეთთან შედარება (მსგავსება-განსხვავებების დადგენა), მათი ცვალებადობის მიზეზების დადგენა.</li> </ul> |



|  |  |
|--|--|
| ეტაპი 5. რაც ვიცით, საიდან ვიცით მმართველობის სხვადასხვა სისტემის შესახებ? |  |
|--|--|

## თემატური ბლოკი 2: კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები

საკითხები:

- თანამედროვეობა და საქართველო;
- ეთნოკონფლიქტები საქართველოში;
- საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა;
- საქართველო საბჭოთა ეპოქაში;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;
- მეორე მსოფლიო ომი და ნიურნბერგის პროცესი;
- ეროვნული მოძრაობა საქართველოში მე-20 საუკუნის 20-70-იან წლებში;
- პირველი მსოფლიო ომი და პარიზის კონფერენცია;
- 1905-1917 წწ. რევოლუციების შედეგები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისთვის;
- თერგდალეულთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ;
- საქართველო და გეორგიევსკის ტრაქტატი;
- საფრანგეთის დიდი რევოლუციის როლი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მოპოვების კუთხით მსოფლიოში;
- ინგლისის რევოლუცია/სამოქალაქო ომი;
- ბახტონის აჯანყება;
- სეფიან-ოსმალთა დაპირისპირება და საქართველო;
- ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის;
- გიორგი ბრწყინვალე;
- თამარ მეფის ეპოქა;
- თურქ-სელჩუკები, ჯვაროსნები და საქართველო;

- ბიზანტია-ირანის (VI-VII სს.) დაპირისპირება და საქართველო;
- არაბები და საქართველო;
- რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში და საქართველო;
- ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო;
- ძველი აღმოსავლეთი და საქართველო;
- ბერძენ-სპარსელთა ომები.

თემა 2.1. რევოლუციები

დრო: 20 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები   | საკითხი / საკითხები   | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები   | შეფასების კრიტერიუმები:  |
|--|---|---|--|
| <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</li> <li>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ინგლისის რევოლუცია;</li> <li>• საფრანგეთის დიდი რევოლუციის როლი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მოპოვების კუთხით მსოფლიოში;</li> <li>• 1905-1917 წწ. რევოლუციების შედეგები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისთვის.</li> </ul> | <p>რატომ ხდებოდა რევოლუციები?</p> <p>როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p>რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ რევოლუციებს?</p> <p>რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელს – „რევოლუციის“ ქვეშ?</p> <p>როგორ შეცვალეს რევოლუციებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით რევოლუციების შესახებ?</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რომელიმე ორი რევოლუციური პროცესის გამომწვევი მიზეზების განაალიზება;</li> <li>- რევოლუციების ნეგატიური შედეგების პრევენციის შესაძლებლობების განსაზღვრა;</li> <li>- ორ რევოლუციურ მოვლენას შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა.</li> </ul> |

| აქტივობები და რესურსები  | კომპლექსური დავალების ნიმუშები:   |
|--|---|
| <p>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</p> <p>ეტაპი 1. რატომ ხდებოდა რევოლუციები?</p> <p>ეტაპი 2. როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p>ეტაპი 3. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ რევოლუციებს?</p> <p>ეტაპი 4. რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „რევოლუციის“ ქვეშ?</p> <p>ეტაპი 5. როგორ შეცვალეს რევოლუციებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> | <p>1. ბლოგის, პრეზენტაციის, დღიურის ან ესეს მომზადება ორი დიდი რევოლუციის შედარებითი ანალიზის შედეგების (მსგავსებები და განსხვავებები) წარმოჩენის მიზნით.</p> <p>2. პოლიტიკური და სოციალური რეფორმების პაკეტის „შეთავაზება“ რომელიმე სახელმწიფოს მმართველისათვის (მაგალითად, ჩარლზ I-ის ან ლუი XVI-სათვის), რომლის განხორციელებითაც ის მოახერხებდა რევოლუციის თავიდან აცილებას.</p> |

ეტაპი 6. რაც ვიცით, საიდან ვიცით რეკოლუციების შესახებ?

თემა 2.2. სახელმწიფო გადატრიალება და სამოქალაქო ომი

დრო: 20 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები   | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები  | შეფასების კრიტერიუმები:   |
|--|--|--|---|
| <p><b>დრო</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;</li> <li>• ცვალებადობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ორგანულ კავშირს გულისხმობს, იმ პირობით რომ არაფერია უცვლელი და დროში გაყინული;</li> <li>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვეობა და საქართველო (საქართველოს სამოქალაქო ომი);</li> <li>• 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება და სამოქალაქო ომი</li> </ul> | <p>რატომ ხდებოდა სამოქალაქო ომები?</p> <p>როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p>რა საერთო და განმასხვავებელი</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- რომელიმე ორი სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზების გაანალიზება;</li> <li>- სამოქალაქო ომების/ სახელმწიფო გადატრიალების ნეგატიური</li> </ul> |



|  |   |
|--|---|
| <p><b>ეტაპი 3.</b> რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ სამოქალაქო ომებს?</p>                             | <p>შესაძლებლობებს, რომლებიც „დამნაშავეებმა“ არ გამოიყენეს დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად;</p> |
| <p><b>ეტაპი 4.</b> რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „სამოქალაქო ომის“ ქვეშ?</p> |   |
| <p><b>ეტაპი 5.</b> როგორ შეცვალეს სამოქალაქო ომებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p>                         |   |
| <p><b>ეტაპი 6.</b> რამდენად იყო პელოპონესის ომი სამოქალაქო ომი?</p>  |   |
| <p><b>ეტაპი 7.</b> რაც ვიცით, საიდან ვიცით სამოქალაქო ომების შესახებ?</p>                                      |   |

**თემა 2.3. ლოკალური კონფლიქტები**

**დრო: 35 საათი**

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები   | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები  | შეფასების კრიტერიუმები:  |
|--|--|--|--|
| <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ძველი აღმოსავლეთი და საქართველო;</li> <li>რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში და საქართველო;</li> <li>არაბები და საქართველო;</li> </ul> | <p>რატომ ხდებოდა ომები?</p> <p>როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p>რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ლოკალურ ომებს?</p> <p>რატომ აერთიანებენ ამ თემაში</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ლოკალური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება;</li> <li>- ომების ნეგატიური შედეგების პრევენციის შესაძლებლობების განსაზღვრა;</li> </ul> |

|  |   |   |  |
|--|---|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ბიზანტია-ირანის (VI-VII სს.) დაპირისპირება და საქართველო;</li> <li>თამარ მეფის ეპოქა;</li> <li>გიორგი ბრწყინვალე;</li> <li>სეფიან-ოსმალთა დაპირისპირება და საქართველო;</li> <li>ბახტრიონის აჯანყება;</li> <li>საქართველო და გეორგიევსკის ტრაქტატი;</li> <li>ეროვნული მოძრაობა საქართველოში მე-20 საუკუნის 20-80-იან წლებში (1924 წლის აჯანყება, 9 აპრილის ტრაგედია);</li> <li>ეთნოკონფლიქტები საქართველოში.</li> </ul> | <p>მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „ლოკალური კონფლიქტების“ ქვეშ?</p> <p>როგორ შეცვალეს ომებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით ომების შესახებ?</p> | <p>- რომელიმე ორ ომს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა.</p> |
|--|---|---|--|

| აქტივობები რესურსები  | კომპლექსური დავალების ნიმუშები:  |
|---|--|
| <p><b>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</b></p> <p><b>ეტაპი 1.</b> რატომ ხდებოდა ომები?</p> <p><b>ეტაპი 2.</b> როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p><b>ეტაპი 3.</b> რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ლოკალურ ომებს?</p> <p><b>ეტაპი 4.</b> რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „ლოკალური კონფლიქტების“</p> | <p>1. პლაკატის, კედლის გაზეთის, ბლოგის, პრეზენტაციის ან ესეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე ორი ომის შედარებითი ანალიზი.</p> <p>2. სარეკომენდაციო ხასიათის წერილის „მიწერა“ რომელიმე ისტორიული მოღვაწისათვის (მაგალითად, ალა მაჰმად-ხანი, რუქნ ად-დინი და ა.შ.), რომელშიც სტუდენტი</p> |

|   |   |
|---|---|
| <p>ქვეშ?</p> <p><b>ეტაპი 5.</b> როგორ შეცვალეს ომებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> <p><b>ეტაპი 6.</b> რაც ვიცით, საიდან ვიცით ომების შესახებ?</p> | <p>რჩევებს მისცემს მას, თუ რატომ არ შეიძლება კონფლიქტის გაჩაღება და როგორ შეიძლება პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება; ან წერილის მიწერა 90-იანი წლების საქართველოს მესვეურებისათვის, რომელშიც სტუდენტი რჩევებს მისცემს მათ, თუ როგორ შეიძლება ეთნოკონფლიქტების თავიდან არიდება ან მოგვარება.</p> |
|---|---|

თემა 2.4. გლობალური მასშტაბის კონფლიქტები

**დრო: 30 საათი**

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები   | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები   | შეფასების კრიტერიუმები:   |
|--|--|---|---|
| <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ბერძენ-სპარსელთა ომები.</li> <li>• თურქ-სელჩუკები, ჯვაროსნები და საქართველო;</li> <li>• ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის;</li> </ul> | <p>რატომ მოხდა მსოფლიო ომები?</p> <p>როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p>რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ მსოფლიო ომებს?</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გლობალური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება;</li> <li>- მსოფლიო ომების ნეგატიური შედეგების პრევენციის შესაძლებლობების განსაზღვრა;</li> </ul> |

|   |  |   |   |
|---|--|---|---|
| <p>შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>ნაპოლეონის ომები და ვენის კონგრესი;</li> <li>პირველი მსოფლიო ომი და პარიზის კონფერენცია;</li> <li>მეორე მსოფლიო ომი და ნიურნბერგის პროცესი;</li> <li>ცივი ომი;</li> <li>საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.</li> </ul> | <p>რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „გლობალური მასშტაბის კონფლიქტების“ ქვეშ?</p> <p>როგორ შეცვალეს მსოფლიო ომებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით მსოფლიო ომების შესახებ?</p>  | <p>- რომელიმე ორ გლობალურ კონფლიქტს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა.</p> |
| <p><b>აქტივობები რესურსები</b></p>  |  | <p><b>კომპლექსური დავალების ნიმუშები:</b></p>   |   |
| <p><b>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</b></p> <p><b>ეტაპი 1.</b> რატომ მოხდა მსოფლიო ომები?</p> <p><b>ეტაპი 2.</b> როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება?</p> <p><b>ეტაპი 3.</b> რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ მსოფლიო ომებს?</p> <p><b>ეტაპი 4.</b> რატომ აერთიანებენ ამ თემაში მოყვანილ მოვლენებს საერთო სახელის – „გლობალური მასშტაბის კონფლიქტების“ ქვეშ?</p> <p><b>ეტაპი 5.</b> როგორ შეცვალეს მსოფლიო ომებმა იმ დროინდელი ადამიანების ყოფა?</p> <p><b>ეტაპი 6.</b> რაც ვიცით, საიდან ვიცით მსოფლიო ომების შესახებ?</p> |  | <p>პლაკატის, კედლის გაზეთის, ბლოგის, პრეზენტაციის ან ესეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე ორი გლობალური ომის შედარებითი ანალიზი.</p> <p>სარეკომენდაციო ხასიათის წერილის „მიწერა“ რომელიმე ისტორიული მოღვაწისათვის (მაგალითად, დარიოს I, ჰიტლერი და ა.შ.), რომელშიც სტუდენტი დაასაბუთებს და რჩევებს მისცემს მას, თუ რატომ არ შეიძლება კონფლიქტის გაჩაღება და როგორ შეიძლება პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება;</p> |   |

თემა 2.5. არამალადობრივი წინააღმდეგობა

დრო: 15 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები  | შეფასების კრიტერიუმები:   |
|---|--|--|---|
| <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</li> <li>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul> <p><b>სამოქალაქო მონაწილეობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;</li> <li>• აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• თერგდალეულთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ;</li> <li>• განდი, კინგი, მანდელა;</li> <li>• სოციალისტური ბანაკის დაშლა („ხავერდოვანი რევოლუციები“);</li> <li>• საქართველო საბჭოთა ეპოქაში დისიდენტები.</li> </ul> | <p>რატომ მიიჩნევა არამალადობრივი წინააღმდეგობა კონფლიქტის მოგვარების/პრევენციის საშუალებად?</p> <p>რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ არამალადობრივი წინააღმდეგობის ფორმებს?</p> <p>რატომ უწოდეს სოციალისტურ ბანაკის დაშლის პროცესს „ხავერდოვანი რევოლუციები“?</p> <p>რა გავლენა მოახდინა არამალადობრივმა წინააღმდეგობებმა საზოგადოების ყოფაზე?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით არამალადობრივი წინააღმდეგობის შესახებ?</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- არამალადობრივი წინააღმდეგობის ფორმების არსებითი მახასიათებლების გამოყოფა;</li> <li>- არამალადობრივი წინააღმდეგობის ფორმების ერთმანეთთან შედარება.</li> </ul> |

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
| <p>დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება.</li> </ul> |  |  |  |
|--|--|--|--|

| <p><b>აქტივობები</b>                      <b>რესურსები</b></p>   | <p><b>კომპლექსური დავალების ნიმუშები:</b></p>   |
|--|---|
| <p><b>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</b></p> <p><b>ეტაპი 1.</b> რატომ მიიჩნევა არამალადობრივი წინააღმდეგობა კონფლიქტის მოგვარების/პრევენციის საშუალებად?</p> <p><b>ეტაპი 2.</b> რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ არამალადობრივი წინააღმდეგობის ფორმებს?</p> <p><b>ეტაპი 3.</b> რატომ უწოდეს სოციალისტურ ბანაკის დაშლის პროცესს „ხვერდოვანი რევოლუციები“?</p> <p><b>ეტაპი 4.</b> რა გავლენა მოახდინა არამალადობრივმა წინააღმდეგობებმა საზოგადოების ყოფაზე?</p> <p><b>ეტაპი 5.</b> რაც ვიცით, საიდან ვიცით არამალადობრივი წინააღმდეგობის შესახებ?</p> | <p>პლაკატის, კედლის გაზეთის, დღიურის, ბლოგის, პრეზენტაციის ან ესეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე ორი არამალადობრივი წინააღმდეგობის მაგალითის შედარებითი ანალიზი.</p> |

## თემატური ბლოკი 3: სახელმწიფო და მოქალაქე

### საკითხები:

- მონაწილეობის კულტურა: შესაძლებლობები, ფორმები და მექანიზმები;
- პიროვნული და საზოგადოებრივი (სახელმწიფო) ინტერესები
- საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ვალდებულებანი;
- ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო სტრუქტურები (სახალხო დამცველი, სასამართლო და სამართალდამცავი უწყებები) და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- ტრეფიკინგი/დისკრიმინაცია/ ნარკომანია;
- საჯარო ინფორმაციის გამცემი ორგანოები და ინფორმაციის მოპოვების მექანიზმები;
- ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები (თავისუფლებათა დიდი ქარტია, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თანამედროვე კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია)
- ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში;
- რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა
- ათენის დემოკრატია
- ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო.

### თემა 3.1. მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოში

დრო: 20 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები  | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები  | შეფასების კრიტერიუმები:   |
|---|--|--|---|
| <p><b>სამოქალაქო მონაწილეობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;</li> <li>• აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით,</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• პიროვნული და საზოგადოებრივი (სახელმწიფო) ინტერესები;</li> <li>• საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო</li> </ul> | <p>რატომ ვმონაწილეობთ არჩევნებში?</p> <p>რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? რატომ აქვს მოქალაქეს, საზოგადოების წინაშე</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ერთმანეთთან შედარება;</li> <li>- სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და</li> </ul> |

|  |   |   |  |
|--|---|---|--|
| <p>ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება.</li> </ul> <p><b>დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში;</li> <li>• დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;</li> <li>• დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა).</li> </ul> <p><b>სოციალიზაცია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს;</li> <li>• ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას;</li> </ul> | <p>ვალდებულებანი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო სტრუქტურები (სახალხო დამცველი, სასამართლო და სამართალდამცავი უწყებები) და არასამთავრობო ორგანიზაციები;</li> <li>• სოციალური პასუხისმგებლობა;</li> <li>• ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები (თავისუფლებათა დიდი ქარტია, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თანამედროვე კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია);</li> <li>• თვითმმართველობის საფუძვლები.</li> </ul> | <p>გარკვეული მოვალეობები?</p> <p>როგორ შეუძლია მოქალაქეს მისი და სხვათა უფლებების დაცვა?</p> <p>რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა?</p> <p>როგორ შეგვიძლია არსებული პრობლემების გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?</p> <p>რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?</p> | <p>ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება;</p> <p>- ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების კვლევა;</p> |
|--|---|---|--|

| აქტივობები  | რესურსები | კომპლექსური დავალების ნიმუშები:   |
|---|-----------|---|
| <p>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</p> <p><b>ეტაპი 1.</b> რატომ ვმონაწილეობთ არჩევნებში?</p> <p><b>ეტაპი 2.</b> რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? რატომ აქვს მოქალაქეს, საზოგადოების წინაშე გარკვეული მოვალეობები?</p> <p><b>ეტაპი 3.</b> როგორ შეუძლია მოქალაქეს მისი და სხვათა უფლებების დაცვა?</p> <p><b>ეტაპი 4.</b> რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა?</p> <p><b>ეტაპი 5.</b> როგორ შეგვიძლია არსებული პრობლემების გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?</p> <p><b>ეტაპი 6.</b> რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?</p> |           | <p>ცხრილის, დიაგრამის, პლაკატის, კედლის გაზეთის, პრეზენტაციის ან ესეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტების შედარებითი ანალიზი;</p> <p>კვლევითი ხასიათის თხზულება „ადამიანის უფლებათა ისტორია“, სადაც ნაჩვენებია იქნება, როგორი იყო ადამიანის უფლებები სხვადასხვა ეპოქაში და როგორ მოვიდა კაცობრიობა ამჟამინდელ მდგომარეობამდე ადამიანის უფლებათა სფეროში;</p> <p>ბუკლეტის/ფლაერის სახით „ღირსეული მოქალაქის სამახსოვროს“ მომზადება, სადაც გადმოცემული იქნება მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება დაიცვას მოქალაქემ თავისი და სხვისი უფლებები, ასევე, როგორ და რატომ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.</p> |



## თემატური ბლოკი 4: კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები

### საკითხები:

- ქრისტიანული მისიონერობის შედეგები რომის იმპერიასა და მის გარეთ;
- მსოფლიო საეკლესიო კრებები, ბიზანტია და საქართველო;
- ისლამის წარმოშობა და არაბული კულტურა მსოფლიოსა და საქართველოში;
- ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის
- რენესანსი და ჰუმანიზმი;
- ვახტანგ VI-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა;
- განმანათლებლობა და მისი გავლენები;
- 1832 წლის შეთქმულება;
- თერგდალეულები და ახალი იდეები;
- ისტორიული აზრის განვითარების თავისებურებები: ა) ანტიკური; ბ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის (ქართული და ევრო-პული) გ) განმანათლებლობის პერიოდის, დ) მე-19 საუკუნის, ე) მეოცე საუკუნის;
- ისტორიის პერიოდიზაციის სისტემები: სამ-წევროვანი დაყოფა, ცივილიზაციური დაყოფა.

### თემა 4.1. კულტურული გავლენები

დრო: 25 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები   | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები  | შეფასების კრიტერიუმები:   |
|---|---|--|---|
| <p><b>სივრცე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანთა განსახლების დიდი ან მცირე არეალები გარკვეული კულტურული ან ცივილიზაციური ერთობით შეიძლება ხასიათდებოდეს;</li> <li>• გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;</li> <li>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• მსოფლიო საეკლესიო კრებები, ბიზანტია და საქართველო;</li> <li>• ბიზანტიის დაცემის მნიშვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის;</li> <li>• ვახტანგ VI-ის</li> </ul> | <p>როგორ და რატომ ხდება ამა თუ იმ ტიპის კულტურული გავლენების გავრცელება?</p> <p>რატომ იყო და არის საზოგადოებაში კულტურული გავლენების (მათ შორის,</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კულტურული მოვლენების და პროცესების გამომწვევი მიზეზების გამოყოფა;</li> <li>- კულტურული გავლენების შედეგების შეფასება.</li> </ul> |

|  |  |   |  |
|--|--|---|--|
| <p>სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.</li> </ul> <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</li> <li>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul> | <p>კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განმანათლებლობა და მისი გავლენები (1832 წლის შეთქმულება);</li> <li>• თერგდალეულები და ახალი იდეები;</li> <li>• სოციალისტური რეალიზმი და საქართველო;</li> <li>• გლობალიზაცია.</li> </ul> | <p>გლობალიზაციის) მიმართ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულება?</p> <p>რა შედეგები მოჰქონდა კულტურულ გავლენებს კონკრეტულ ეპოქასა და საზოგადოებაში?</p> <p>როგორ შეცვალეს კულტურულმა გავლენებმა ადამიანთ ყოფა?</p> |  |
|--|--|---|--|

| აქტივობები  | რესურსები | კომპლექსური დავალების ნიმუშები:  |
|---|-----------|--|
| <p><b>ეტაპების სახით თემის სწავლა-სწავლების დაგეგმვა</b></p> <p><b>ეტაპი 1.</b> როგორ და რატომ ხდება ამა თუ იმ ტიპის კულტურული გავლენების გავრცელება?</p> <p><b>ეტაპი 2.</b> რატომ იყო და არის საზოგადოებაში კულტურული გავლენების (მათ შორის, გლობალიზაციის) მიმართ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულება?</p> <p><b>ეტაპი 3.</b> რა შედეგები მოჰქონდა კულტურულ გავლენებს კონკრეტულ ეპოქასა და საზოგადოებაში?</p> |           | <p>პრეზენტაციის ან ესეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე კულტურული მოვლენის შეფასება და მისი გავლენის შედეგების ანალიზი;</p> <p>დებატების ორგანიზება გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე სამსჯელოდ (რეზოლუცია: „გლობალიზაციას მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს“)</p> |

|  |                   |
|--|-------------------|
| ეტაპი 4. როგორ შეცვალეს კულტურულმა გავლენებმა ადამიანთ ყოფა? | საქართველოსთვის“) |
|--|-------------------|

თემა 4.2. მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები

დრო: 20 საათი

| სამიზნე ცნებები / ქვეცნებები  | საკითხი / საკითხები   | საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები   | შეფასების კრიტერიუმები:  |
|---|---|---|--|
| <p><b>ისტორიული მოვლენა/პროცესი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს თავის მიზეზი და შედეგი, ზოგ მოვლენას მრავალი მიზეზი და შედეგი;</li> <li>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;</li> <li>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;</li> <li>• ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა შესაძლოა გაზვიადებული იყოს;</li> <li>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.</li> </ul> <p><b>წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ქრისტიანული მისიონერობის შედეგები რომის იმპერიასა და მის გარეთ;</li> <li>• ისლამის წარმოშობა და არაბული კულტურა მსოფლიოსა და საქართველოში;</li> <li>• რენესანსი და ჰუმანიზმი;</li> <li>• ისტორიული აზრის განვითარების თავისებურებები: ა) ანტიკური; ბ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის (ქართული და ევროპული) გ)</li> </ul> | <p>როგორ ხდებოდა ამა თუ იმ ეპოქაში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება?</p> <p>როგორ ჩამოყალიბდა და გავრცელდა ქრისტიანობა და ისლამი?</p> <p>რატომ უწოდებენ ქრისტიანობას და ისლამს მსოფლიო რელიგიებს?</p> <p>როგორ შეცვალა ადამიანთა ყოფა მსოფლიო რელიგიების გავრცელებამ, ასევე რენესანსისა და ჰუმანიზმის ეპოქამ?</p> <p>რაც ვიცით, საიდან ვიცით</p> | <p>სტუდენტმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მსოფლიო რელიგიების, რენესანსის და ჰუმანიზმის არსებითი მახასიათებლების გამოყოფა;</li> <li>- წყაროებზე დაყრდნობით საქართველოზე მსოფლიო რელიგიების გავლენის შედეგების ანალიზი;</li> <li>- სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედვე-ლობების შედარება;</li> </ul> |



|  |  |
|--|--|
| <b>ეჭაპი 5.</b> რაც ვიცით, საიდან ვიცით მსოფლიო რელიგიების, რენესანსისა და ჰუმანიზმის შესახებ? |  |
|--|--|